

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
2019 წლის ბიუჯეტის პროექტი

რუსთავი

2018

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი შემდეგი რედაქციით:

თავი I

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსავლები	37 779,1	42 595,5	38 173,9	37 673,9	500,0
გადასახადები	14 092,3	13 600,0	33 362,9	33 362,9	0,0
გრანტები	17 758,7	23 650,9	500,0	0,0	500,0
სხვა შემოსავლები	5 928,1	5 344,6	4 311,0	4 311,0	0,0
ხარჯები	30 181,1	31 968,0	34 893,8	34 332,8	561,0
შრომის ანაზღაურება	3 540,0	3 778,0	13 658,4	13 386,6	271,8
საქონელი და მომსახურება	3 060,6	3 484,1	13 223,2	12 940,2	283,0
პროცენტი	294,5	326,8	165,1	165,1	0,0
სუბსიდიები	17 854,9	18 799,6	1 975,6	1 975,6	0,0
გრანტები	3,3	4,0	4,0	4,0	0,0

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
სოციალური უზრუნველყოფა	2 541,9	2 950,9	3 206,4	3 200,2	6,2
სხვა ხარჯები	2 885,8	2 624,5	2 661,1	2 661,1	0,0
საოპერაციო სალდო	7 598,0	10 627,5	3 280,1	3 341,1	-61,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 522,5	13 802,0	4 669,1	4 405,5	263,6
ზრდა	8 095,8	14 602,0	5 319,1	5 055,5	263,6
კლება	1 573,3	800,0	650,0	650,0	0,0
მთლიანი სალდო	1 075,5	-3 174,5	-1 389,0	-1 064,4	-324,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 003,1	-3 958,2	-2 200,4	-1 875,8	-324,6
ზრდა	3 938,4	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	3 938,4	0,0	0,0		
კლება	4 941,6	3 958,2	2 200,4	1 875,8	324,6
ვალუტა და დეპოზიტები	4 941,6	3 958,2	2 200,4	1 875,8	324,6
ვალდებულებების ცვლილება	-2 078,6	-783,8	-811,4	-811,4	0,0
კლება	2 078,6	783,8	811,4	811,4	0,0
საშინაო	2 078,6	783,8	811,4	811,4	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	39 352,3	43 395,5	38 823,9	38 323,9	500,0
შემოსავლები	37 779,1	42 595,5	38 173,9	37 673,9	500,0
არაფინანსური აქტივების კლება	1 573,3	800,0	650,0	650,0	0,0
გადასახდელები	40 355,4	47 353,7	41 024,3	40 199,7	824,6
ხარჯები	30 181,1	31 968,0	34 893,8	34 332,8	561,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 095,8	14 602,0	5 319,1	5 055,5	263,6
ვალდებულებების კლება	2 078,6	783,8	811,4	811,4	0,0
ნაშთის ცვლილება	-1 003,1	-3 958,2	-2 200,4	-1 875,8	-324,6

მუხლი 3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 38 173,9 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსავლები	37 779,1	42 595,5	38 173,9	37 673,9	500,0
გადასახადები	14 092,3	13 600,0	33 362,9	33 362,9	0,0
გრანტები	17 758,7	23 650,9	500,0	0,0	500,0
სხვა შემოსავლები	5 928,1	5 344,6	4 311,0	4 311,0	0,0

მუხლი 4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 33 362,9 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
გადასახადები	14 092,3	13 600,0	33 362,9
საშემოსავლო გადასახადი	2 576,4	2 300,0	0,0
ქონების გადასახადი	11 515,9	11 300,0	11 800,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6 852,5	7 500,0	7 800,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	28,1	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	163,6	100,0	0,0
სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	12,5	0,0	0,0
არასასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	4 459,1	3 700,0	4 000,0
სხვა გადასახადი (დღგ)	0,0	0,0	21 562,9

მუხლი 5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 500,0 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
გრანტები	17 758,7	23 650,9	500,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	152,3	46,2	0,0

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	17 606,5	23 604,8	500,0
მიმდინარე	11 193,8	15 450,3	500,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	10 693,8	14 950,3	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	500,0	500,0	500,0
კაპიტალური	6 412,7	8 154,5	0,0
კაპიტალური ტრანსფერი	6 412,7	8 154,5	0,0

მუხლი 6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 4 311,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	5 928,1	5 344,6	4 311,0
შემოსავლები საკუთრებიდან	620,5	465,0	292,0
პროცენტები	250,9	200,0	100,0
დივიდენდები	27,0	35,0	10,0
რენტა	342,6	230,0	182,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	263,6	150,0	100,0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	79,0	80,0	82,0
საქონელი და მომსახურების რეალიზაცია	3 723,5	3 551,3	2 669,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	3 672,4	3 521,3	2 651,0
სანებართვო მოსაკრებელი	72,4	70,2	50,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,1	0,0	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2,0	1,0	1,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2 720,1	2 500,0	1 800,0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	877,8	950,1	800,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	51,1	30,0	18,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	51,1	30,0	18,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 153,0	1 100,0	1 100,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	431,1	228,3	250,0

მუხლი 7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 34 893,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
ხარჯები	30 181,1	31 968,0	34 893,8	34 332,8	561,0
შრომის ანაზღაურება	3 540,0	3 778,0	13 658,4	13 386,6	271,8
საქონელი და მომსახურება	3 060,6	3 484,1	13 223,2	12 940,2	283,0
პროცენტი	294,5	326,8	165,1	165,1	0,0
სუბსიდიები	17 854,9	18 799,6	1 975,6	1 975,6	0,0
გრანტები	3,3	4,0	4,0	4,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	2 541,9	2 950,9	3 206,4	3 200,2	6,2
სხვა ხარჯები	2 885,8	2 624,5	2 661,1	2 661,1	0,0

მუხლი 8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 669,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5 319,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	39,3	210,5	24,6	16,7	7,9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	30,5	53,5	24,6	16,7	7,9
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	8,7	157,0	0,0	0,0	0,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5 772,8	12 459,9	3 826,1	3 692,1	134,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 043,2	10 000,7	3 360,4	3 360,4	0,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,6	68,4	1,5	1,5	0,0
02 03	გარე განათება	128,3	33,8	0,0	0,0	0,0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0,0	1 391,6	114,7	5,8	108,9
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	0,0	0,0	3,0	3,0	0,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	483,2	345,0	221,9	196,8	25,1

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
02 08	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	103,4	260,6	11,9	11,9	0,0
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	13,2	359,9	112,7	112,7	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	16,0	52,1	69,0	69,0	0,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,5	30,9	57,0	57,0	0,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	12,5	21,2	12,0	12,0	0,0
04 00	განათლება	1 257,9	912,1	172,7	87,3	85,4
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	0,0	15,3	47,0	47,0	0,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 257,9	872,8	125,7	40,3	85,4
04 04	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	0,0	24,0	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 008,2	967,5	1 226,7	1 190,4	36,3
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	845,3	853,5	1 021,1	984,8	36,3
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	159,7	109,9	201,6	201,6	0,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	3,2	4,0	4,0	4,0	0,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,5	0,0	0,0	0,0	0,0
06 02	სოციალური დაცვა	1,5	0,0	0,0	0,0	0,0
სულ ჯამი		8 095,8	14 602,0	5 319,1	5 055,5	263,6

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 650,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	1 573,3	800,0	650,0
ძირითადი აქტივები	516,3	200,0	50,0
არაწარმოებული აქტივები	1 057,0	600,0	600,0
მიწა	1 057,0	600,0	600,0

მუხლი 9. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 793,7	6 384,1	6 517,6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 099,4	5 916,3	6 210,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 099,4	5 607,4	5 908,5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	308,9	302,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	399,7	141,0	142,0
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	50,0	50,0	50,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	349,7	91,0	92,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	294,5	326,8	165,1
702	თავდაცვა	235,9	267,2	285,6
7021	შეიარაღებული ძალები	235,9	267,2	285,6
704	ეკონომიკური საქმიანობა	5 935,1	11 111,2	4 314,7
7045	ტრანსპორტი	5 783,3	10 908,1	4 294,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 783,3	10 908,1	4 294,7
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	151,8	203,2	20,0
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	151,8	203,2	20,0
705	გარემოს დაცვა	4 498,9	4 867,2	5 200,6
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	32,1	214,4	102,9
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	1 826,8	1 300,2	1 653,4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5 293,9	6 607,7	4 878,7
7061	ბინათმშენებლობა	2 552,2	2 322,7	2 604,2
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	491,3	345,7	221,9
7064	გარე განათება	1 745,8	1 446,9	1 617,2
7066	სხვა არკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	504,6	2 492,5	435,4
707	ჯანმრთელობის დაცვა	235,9	243,0	293,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	235,9	243,0	293,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6 245,9	6 351,7	7 165,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 942,6	2 892,2	3 058,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 485,2	1 845,9	2 257,8

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	106,2	110,5	110,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და სპორტის სფეროში	1 711,9	1 503,1	1 739,2
709	განათლება	7 013,4	7 445,6	7 998,7
7091	სკოლამდელი აღზრდა	7 013,4	7 421,6	7 998,7
7092	ზოგადი განათლება	0,0	24,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	24,0	0,0
710	სოციალური დაცვა	3 024,2	3 292,1	3 558,5
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	366,6	462,8	566,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	216,8	221,0	245,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	149,9	241,8	321,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1 167,9	1 347,4	1 477,1
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	11,8	15,8	15,8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	255,2	301,3	346,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 222,7	1 164,8	1 153,6
	სულ	38 276,9	46 570,0	40 212,9

მუხლი 10. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 3 280,1 ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-1 389,0) ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	7 598,0	10 627,5	3 280,1
მთლიანი სალდო	1 075,5	-3 174,5	-1 389,0

მუხლი 11. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-2 200,4) ათასი ლარის ოდენობით.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 2 200,4 ათასი ლარი, საიდანაც: 260,0 ათ. ლარი არის მრავალწლიანი პროექტების სახსრები, 324,6 ათ. ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი, ხოლო 1 615,8 ათ. ლარი არის თავისუფალი ნაშთი.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 003,1	-3 958,2	-2 200,4
ზრდა	3 938,4	0,0	0,0
კლება	4 941,6	3 958,2	2 200,4

მუხლი 12. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-811,4) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ გასასტუმრებელი ვალდებულებები შეადგენს 811,4 ათას ლარს.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-2 078,6	-783,8	-811,4
კლება	2 078,6	783,8	811,4
საშინაო	2 078,6	783,8	811,4

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2018 წლის ბოლოს განისაზღვრება 2 469,4 ათასი ლარით.

თავი II

პრიორიტეტებისა და პროგრამების აღწერა

მუხლი 13. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათებისა და ავარიული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

1.1.1 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია, კერძოდ: მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს ეზოების ასფალტ/საფარის რეაბილიტაცია. ასევე რეგიონის განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები.

1.1.2 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული გზების ორმული დამუშავება ქალაქის მასშტაბით.

1.1.3 საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნილების გათვალისწინებით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში სხვადასხვა ლოკაციებზე ე.წ. „მწოლიარე პოლიციელების“ მოწყობა, ქუჩების დახაზვა და საგზაო ნიშნების მონტაჟი. ასევე საგზაო მოძრაობის წესების მეტი კონტროლის უზრუნველსაყოფად დასრულდება სათვალთვალ „ჭკვიანი“ კამერების მონტაჟი.

1.2 წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში თავდაპირველად გათვალისწინებულია ქალაქის პრობლემურ უბნებზე სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება და მოვლა-პატრონობა.

1.3 გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯი, ქალაქის ცენტრალურ და შემდგომ შიდაკვარტალურ გზებზე არსებული ნათურები შეიცვლება ეკო-ნათურებით, რაც ქალაქის გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯს მნიშვნელოვნად დაზოგავს. რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში სანათი წერტილების მოვლა-პატრონობა.

1.4 მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია, გაძლიერება-გამაგრება და სახურავების აღდგენა.

1.4.1 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქალაქში ეტაპობრივად გაგრძელდება ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები, რაც ქვეპროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს, იგეგმება, როგორც საცხოვრებელი, ისე მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია.

1.4.2 საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საცხოვრებელი შენობების დაზიანებული სახურავების ეტაპობრივი რეაბილიტაცია.

1.5 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საზოგადოებრივი აქტივობების ხელშეწყობა, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. პროგრამაში მოსახლეობის ჩართულობის პრინციპით განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწესრიგება, რომლის ფარგლებში გაიცემა წახალისებები კვარტალში ერთხელ წარმატებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებზე. დაფინანსების ფარგლებში იგეგმება არსებული საბავშვო მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია.

1.6 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სკვერების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, შენობების ფასადების რეაბილიტაცია, სადღესასწაულო დღეების ფარგლებში ქალაქის გაფორმების ხარჯები.

1.6.1 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 06 01)

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა.

1.6.2 შენობების ფასადების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება რუსთავში არსებული ძველი ისტორიული შენობების იერსახის შენარჩუნება/აღდგენა.

1.6.3 სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გასაფორმებელი აქსესუარებისა და განათებების მონტაჟი.

1.7 მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის ფარგლებში დოტაციური პრინციპით ფინანსდება შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“, რომელიც უზრუნველყოფს შიდასაქალაქო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანას. მიუხედავად იმისა, რომ ავტობუსების პარკი საჭიროებს გადახალისებას, არსებული საშუალებებით ხდება მათი ექსპლოატაცია და პროგრამის ძირითადი მიზანი შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნებაა, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

1.8 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 02 08)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, სამომავლო განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნის ხარჯები.

1.9 საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09)

პროგრამის ძირითადი ხარჯი მიმართულია საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების უზრუნველყოფისათვის.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალდ არის სამრეწველო ობიექტები, აქედან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იმენს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა; მწვანე საფარის ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის განვითარებისათვის, ამასთან ერთად უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს.

2.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანის მომსახურების გაწევას.

2.2 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის მასშტაბით მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას (მორწყვა, მოთიბვა და გადაბეღვა) და ახალი ხე-მცენარეების დარგვას. პროგრამის ფარგლებში იგეგმება მოსახლეობის ჩართულობით მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და საამისოდ ტარდება სხვადასხვა მასშტაბური აქტივობები ქალაქში.

2.3 უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 03)

უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უპატრონო ცხოველების ოპერირების ღონისძიების დაფინანსება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება უპატრონო ცხოველთა ვაქცინაცია და აღრიცხვა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბავშვთა კვების რაციონს, ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ბაღების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბავშვების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6 490 ბავშვი. საბავშვო ბაღებში რეაბილიტაციის ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფების გახსნა რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება. ახალი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად გაუმჯობესდება კვების რაციონი.

3.2 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების სრული/ნაწილობრივი ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს შიდა ფართის მიმდინარე რემონტს და შემოღობვით სამუშაოებს.

3.3 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გაივლის 220-მდე ბენეფიციარი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადრეულ ასაკში საჭიროების მქონე პირთა ლოგოპედურ, ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ დიაგნოსტიკას და სისტემატიური კონტროლის, ჩატარებულ თერაპიას, რის შედეგადაც უმჯობესდება ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა

და ეტაპობრივად იზრდება საჯარო სკოლებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობის რაოდენობა.

3.4 საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარე საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება/რეაბილიტაცია.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენებისა და ხელოვანების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1 სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1 სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს საკალათბურთო (შპს „რუსთავი 1991“) და სარაგბო (ააიპ „რუსთავის ხარები“) კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას.

4.1.2 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული ღონისძიებების ორგანიზებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას ქალაქის მაცხოვრებლებში.

4.1.3 სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო გასართობი ატრაქციონების საბავშვო მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია და ასევე განხორციელდება ქალაქში არსებული სპორტული კომპლექსების რეაბილიტაცია და მოედნების მოწყობა/რეაბილიტირება.

4.2 კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი აქტივობები.

4.2.1 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

- ა(ა)იპ „სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“, რომელიც აერთიანებს სახელოვნებო და სასპორტო სკოლებს რომლებშიც თავმოყრილია ადგილობრივი ანსამბლები, 3 მუსიკალური, 1 ხელოვნებისა და 1 სამხატვრო სკოლა, სადაც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე; ასევე 4 სპორტულ სკოლას და 1300-ზე მეტ სპორტსმენს. ზემოხსენებული ა(ა)იპ-ი უზრუნველყოფს სადღესასწაულო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მოწყობას. ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

- ა(ა)იპ „გ. ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ყველა თაობის ნიჭიერ შემოქმედთა ხელშეწყობა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, ტრადიციების აღორძინება; გაამძაფროს საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი და მოიზიდოს ყველა თაობის მაყურებელი.
- ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“ დაფინანსებას, რომელიც სისტემატიურად მოიპოვებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამიანთა და მათი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ მასალას; შეისწავლის მათ, განათლების, საზოგადოებისათვის ცოდნის გაცემის და ესთეტიური სიამოვნების მინიჭების მიზნით; მუზეუმი აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პატრიოტული სულისკვეთებით.
- ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 3 ბიბლიოთეკას, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

4.2.2 კულტურული ღონისძიებების განხორციელება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული-სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზებასა და მოქალაქეთა ჩართულობას მსგავს აქტივობებში.

4.2.3 კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება რუსთავში არსებული კულტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გულისხმობს მათი იერსახის გაუმჯობესებას და მყუდრო/სასიამოვნო გარემოს შექმნას ქალაქის სხვადასხვა ლოკაციებზე.

4.2.4 რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კონფესიების მხარდაჭერას კომუნალური მომსახურებების ნაწილში.

4.3 ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა მომართულია ქალაქის მომავალი თაობის განვითარების ხელშეწყობასა და მხარდაჭერაზე, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საჭირო პირობების შექმნაზე.

4.3.1 ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები (ქვეპროგრამის კოდი 05 03 01)

ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“, რომელიც ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებასა და მომავალი თაობის მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს საზოგადოებრივ, სპორტულ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

4.3.2 ინიციატივების თანადაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 03 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს რუსთავში რეგისტრირებულ ახალგაზრდა (29 წლამდე) ინიციატორთა ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების თანადაფინანსება (არაუმეტეს 50%), საერთაშორისო დაფინანსების (უცხოური გრანტები) მოზიდვის შემთხვევაში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებები.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველყოფილობის დადგენისა და გაუვნებელოფის ღონისძიებები.

5.2 სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000-მდე ქულის მქონე) მოსახლეობისა და შშმ პირების 1 900 ბენეფიციარის ერთჯერადი ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

5.2.2 სარიტუალო მომსახურებები (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ომში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 350 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში); ქ. რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით.

5.2.3 შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 57 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე საციალურად დაუცველი ოჯახების (1500-ზე მეტი ბენეფიციარი) სასმელი წყლის გადასახადისაგან გათავისუფლება (ბენეფიციართა რაოდენობა ცვალებადია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით).

5.2.4 შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 150 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე საციალურად დაუცველი მოსახლეობის (4 300-ზე მეტი) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა (ბენეფიციართა რაოდენობა ცვალებადია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული მონაცემების მიხედვით); ქალაქში მცხოვრები ვეტერანების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა (1 500-ზე მეტი ბენეფიციარი); სსიპ–ებისა და სხვადასხვა ა(ა)იპ–ების თანამშრომლების მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები (2 500–ზე მეტი ბენეფიციარი); სტატუსით უსინათლო შშმ პირთა მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები (180–ზე მეტი ბენეფიციარი).

5.2.5 ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

